პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 101 (13783) | შაბათი, 29 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი ნობათები

ქუთაისი. (საკ. კორ.). გ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა საიუბილეო წლის პირველი კვარტალის დავალება და 517 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 280 ათასი მანეთის ნაწარმი.

ფეიერბმა 16,3 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და გათვალისწინებულთან შედარებით 2,6 პროცენტით გაზარდეს პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

ჰიათურა. (საკ. კორ.). წინასაპირველმაისო დღეებში შრომითი აღმავლობაა კალინინის სახელობის მაღაროში. მისმა კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების საიუბილეო წლის ოთხი თვის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს მაისის ანგარიშში უკვე კაუჭზავნა ათასობით ტონა მარგანეცი.

დაწინაურდნენ იმ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ტ. ბრეგვაძე, ვ. ჯუღელი, ა. ღუღუნიშვილი, შ. კანანაძე უძღვებიან.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში

28 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კიმ ჩუნ ენი. მეგობრული საუბარი ორივე მხარეს აინტერესებდა.

ა. ნ. კოსიგინსა და კიმ ჩუნ ენს შორის [illegible] ინტერნაციონალისტურ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-156"

1967 წლის 27 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-156". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია წრიულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრები გაანგარიშებულს უახლოვდება: მიმოქცევის საწყისი პერიოდია 97 წუთი; მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — დაახლოებით 630 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 81,2 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მაღალი ჯილდო

მექანიკის, ბირთვული ფიზიკისა და ენერგეტიკის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობისა და მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკადემიკოს მიხეილ დიმიტრის ძე მილიონშჩიკოვს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროო".

(საკდესი).

მეგობრული ვიზიტით

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ ჩეხოსლოვაკიაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მიიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის დეპუტატ ა. ი. პელშეს მეთაურობით 5 მაისს მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრება. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია ვარშავაში

ვარშავა, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ გაჩერდა მოსკოვს მიმავალი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა ევროპის უშიშროების საკითხისადმი მიძღვნილ 25 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლების კარლოვი ვარის კონფერენციაში. გდანსკის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კლიშკო და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ვაგზალზე იყო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვი.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. გომულკას, ი. ცირანკევიჩისა და ზ. კლიშკოს ხანმოკლე გულითადი საუბრის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

სკკპ დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

28 აპრილს კარლოვი ვარიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ევროპის უშიშროების საკითხებს.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი.

ბელორუსის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. კ. კატუშევი, თ. დ. ტალიკოვი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ე. სემიჩასტნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ამხ. გ. ს. ბაგლოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ამხანაგები ძ. ვ. რუსაკოვი, გ. ე. ცუკანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. თ. კუდრიაშოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ო. პაველოსკი და საელჩოს თანამშრომლები.

წინასამაისო დღეებში

მანქანათმშენებელთა გამარჯვება

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნის კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ღირსეულად შრომითს ეგებება. ქარხნის კოლექტივმა მიიღო სსრ კავშირის მუშაკთა დეპუტატთა საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტისა და მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს პირველი პრემია და დიპლომი გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალის მიხედვით მოიპოვა.

ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა, სამშობლოს მრავალი მანქანადანადგარი მისცა გეგმის გადამეტებით. წარმატებით იზრომეს თბილისელმა მანქანათმშენებლებმა აპრილშიც. მაისის დღესასწაულს ისინი ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ. თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების აპრილის გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 115,3 პროცენტით. ეს აცნობა ჩვენი გაზეთის რედაქციას ქარხნის დირექტორმა ლ. აიკაზოვმა.

მაისის ანგარიშში

ჰიათურა. (საკ. კორ). საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები ჰიათურელი მაღაროელები ალმაგლობით მუშაობენ. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება და აპრილშიც არ ანელებენ შრომის რიტმს.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ორჯონიკიძელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. იცი დღით ადრე შეასრულეს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოთხი თვის დავალება და მაისის ანგარიშში მეტალურგიას მისცეს ათასობით ტონა მადანი. მაროაოს კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს პეროქსიდებისა და მაღალ ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებებს.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოო უბნების კოლექტივებს, რომელებსაც შ. ფხალაძე, ტ. ფეიერეი, ა. კენჭოშვილი უძღვებიან და პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივს, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს.

ДОСРОЧНОЕ ВЫПОЛНЕНИЕ ЗАДАНИЯ

АХАЛЦИХЕ. Коллектив ахалцихского завода крупнопанельных домов досрочно выполнил задание первого квартала. Сверх плана выпущено 4.500 квадратных метров панелей.

ზეგეგმითი ეშელონები

ტყიბული. (საკ. კორ.). მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის შესახვედრად ტყიბულელი მეშახტეები თავდადებულად შრომობენ. „შავი ოქროს" მოპოვების სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში მოწინავენი არიან დასავლეთისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტები. 17 აპრილს დღის ბოლოს დასავლეთის შახტიდან გავიდა ზეგეგმითი სათბობით დატვირთული ოცდამეშვიდე ეშელონი, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის შახტიდან — ოცდაცამეტიანი ეშელონი.

წინასამაისო შეჯიბრებაში დაწინაურდა რესპუბლიკის უველაზე მძლავრი სამთო საწარმო — ლენინის სახელობის შახტი. აქ მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ის საეკსპლოატაციო უბნები, რომლებსაც ვ. კვასტიანი, შ. ამბულაძე, ა. ცირეკიძე და რ. კიკოლიაშვილი ხელმძღვანელობენ. საპირველმაისო ვახტს წარმატებით ეწევიან და თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან მეშახტე ენოფაზიასტები გ. გოცაძე, გ. სახელაშვილი, ზ. ლოსაბერიძე, ა. ბარბაქაძე, ო. არაბიძე, კ. ბაკურაძე და სხვ. ისინი ცვლაში 2-2,5 ტონა ზეგეგმითს ქვანახშირს იძლევიან.



ბრესტ „საქჰიდროენერგომშენის" საწარმოო წამოწყებათა თბილისის კომბინატის რკინაბეტონის საამქრომ წინასამაისოდ გეგმით გათვალისწინებული 4.500 ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციის ნაცვლად დამზადა 4.524.

სურათზე: კომუნისტური შრომის დამკვრელი, მოწინავე მეარმატურე ივანე შიხიაშვილი (მარცხნივ) და საამქროს უფროსი თენგიზ კაჩიძე ამოწმებენ პროდუქციას.

ფოტო ა. ჭელიძისა.

გამოფენა მუშაობას იწყებს

მონრეალი, 28 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. სტაროდუბი იუწყება:

თუმცა გამოცხადებული იყო, რომ მსოფლიო გამოფენის „ექსპო-67" საბჭოთა პავილიონი მუშაობას იწყებს 28 აპრილს დილას, მაგრამ ფაქტიურად წინადღეს გახსნეს თვითონ მოუთმენელმა დამთვალიერებლებმა. საღამოს სსრ კავშირის პავილიონში მოვიდა ათასობით სპეციალისტი, რომლებიც მიწვეული იყვნენ მსოფლიო გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე. ხალხით გაიესო ყველა სართული. სტუმრებს დაურიგეს გაზეთი „მოსკოუ ნიუსი" ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელშიც დაბეჭდილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მიმართვა საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლებისადმი:

საბჭოთა პავილიონის პატივცემულო დამთვალიერებლებო!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს მოგესალმოთ საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ამ მსოფლიო გამოფენის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პავილიონში. ჩვენი სურვილია, რომ თქვენი სტუმრობა სასიამოვნო და საინტერესო იყოს. თუ თქვენ კანადელი ხართ, მაშინ თქვენი სახით მიგესალმებით და მადლობას ვუხდით კანადელ ხალხს, რომელმაც გამოიჩინა სტუმართმოყვარეობა და ბევრი რამ გაიკეთა „ექსპო-67" გამოფენის წარმატებით მოწყობისათვის.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია ჩვენი სახელმწიფოსათვის. ნოემბერში საბჭოთა კავშირი საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს, რევოლუციისა, რომელმაც გაათავისუფლა საბჭოთა ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალები, დარაზმა იგი ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. რა თქმა უნდა, გამოფენა ვერ ასახავს ყველა მოვლენას, ყველა გმირულ საქმეს, რომელებიც საბჭოთა კავშირს ისტორიას შეადგენენ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ჩვენი მიზანია გიამბოთ საბჭოთა ქვეყნის თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის მრავალეროვანი ოჯახის ძმეფარე ცხოვრების ზოგიერთი მხარის, საბჭოთა ადამიანების შრომისა და კულტურის, დასვენებისა და სწავლის, დღევანდელი დიდი საქმეებისა და მომავლის გეგმების შესახებ.

როცა ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვეკითხებიან, თუ რის შედეგია ჩვენი სახელმწიფოს უდავოდ უზარმაზარი მიღწევები, ჩვენ არ ვმალავთ იმ სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებს, რომელთა მეოხებითაც მშვიდობიანი შრომის სამი ათეული წლის მანძილზე — სწორედ სამი ათეული წლის მანძილზე, რადგან 20 წელი საბჭოთა კავშირმა მოახმარა მისთვის თავს მოხვეული ომებს — სსრ კავშირი გადაიქცა მძლავრ მსოფლიო სახელმწიფოდ. გვინდა, რომ ეს მიზეზები კანადაშიც, მთელ ამერიკის კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში უკეთ გაგიგონ.

საბჭოთა ადამიანები ახლა ახორციელებენ ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და თავიანთი ცხოვრების ყოველმხრივ გაუმჯობესების დიდ გეგმებს. დარწმუნებული ვართ, რომ სხვა ხალხებსაც ბევრი დიდი საქმე აქვთ თავიანთ ქვეყანაში. „ექსპო-67" თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რის მიღწევა შეუძლია კაცობრიობას მშვიდობის პირობებში.

ჩვენს დროში სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათს ამ ქვეყნების სამხედრო მეტოქეობა კი არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობა და საქმიანი თანამშრომლობა. და, ბუნებრივია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, სადაც მოვლენები მკიდროდ არის ურთიერთ დაკავშირებული, სხვა ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში ჩარევის ცდები აშკარად ეწინააღმდეგება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენი იდეალია ომების დამთავრება, ხალხთა შორის მშვიდობა, ძარცვისა და ძალადობის შეწყვეტა. სსრ კავშირი განუხრელად იცავს ამ ანდერძს.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდა. გაფართოვდა არა მარტო ეკონომიური ურთიერთობა, არამედ სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ ფასეულობათა გაცვლაც. ამას მივესალმებით და მიგვაჩნია, რომ ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება შეესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს, მთელ მსოფლიოში ვითარების გაუმჯობესების ინტერესებს.

მადლობას გიძღვნით ყველას, რომ მოხვედით იმის სანახავად, თუ რას და როგორ ვაკეთებთ, რაზე ვოცნებობთ, რა გვიხარია. ხალხში ამბობენ — კარგია, როცა მოსაგონარი შემდეგ შეხვდრამდე გვყოფნისო. ნება მიბოძეთ ყოველივე საუკეთესო გისურვოთ და იმედი გამოვთქვა, რომ თქვენზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს ის, რასაც საბჭოთა გამოფენა გიჩვენებთ.

ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ჩვენს ლიად ავეოკლიში

გაზაფხულზე კულტურების თესვის

ხნული მთესველს ელოდება

დათესილია 165.154 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

საგაზაფხულო კულტურების თესვის გადამწყვეტი დრო. ახლა თესვის ტემპი დღითიდღე უნდა გაძლიერდეს, რომ დარჩენილ ძვირფასი დროში წარმატებით შესრულდეს დასახული გეგმები. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 25 აპრილის ცნობებით **რესპუბლიკაში დათესილია 165.154 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები** ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290.719 ჰექტრისა.

საერთოდ საგაზაფხულო კულტურების თესვის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: **ახალციხის** რაიონში თესვის გეგმა შესრულებულია 77,3 პროცენტით, **ასპინძის** — 57, **ადიგენის** — 53,1, **ხაშურის** — 63,6, **ქარელის** — 59,6, **გორის** — 47, **კასპის** — 69,9, **საგარეჯოს** — 79,6, **გურჯაანის** — 67,8, **სიღნაღის** — 73,3, **წითელწყაროს** — 86,2, **თელავის** — 77, **ახმეტის** — 64, **ყვარლის** — 36,8, **გარდაბნის** — 67,3, **მცხეთის** — 58,1, **ბოლნისის** — 46,2, **მარნეულის** — 36,1, **წალკის** — 45,5, **თეთრი წყაროს** — 59,4, **დუშეთის** — 38,5, **ახალქალაქის** — 23,9, **ბოგდანოვკის** რაიონში — 10,1 პროცენტით, **სამხრეთ ოსეთის** autonomiur ოლქში — 53,1 პროცენტით და სხვ.

სამარცვლე და ბასლიანი სიმინდი გეგმით სულ ოთვალისწინებს **204.817** ჰექტარს დათესვას. 25 აპრილისთვის დათესილი იყო 76.290 ჰექტარი, სიმინდის თესვა შედარებით კარგად მიმდინარეობს **თელავის, წითელწყაროს, ახმეტის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხობის, აბაშის** და სხვა რაიონებში. **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია ახლოლად 2,3 პროცენტით, **აჭარის** ასს რესპუბლიკაში — 8,6 პროცენტით, **სამხრეთ ოსეთის** autonomiur ოლქში — 50,1 პროცენტით, რესპუბლიკაში დათესილია 61.512 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი, ანუ გეგმა შესრულებულია 43,4 პროცენტით.

თესვის ტემპი უნდა დაჩქარდეს, რომ უახლოეს დღეებში დაგამთავროთ ეს საშუშათ ესაა ახლა მინდორის მშრომელთა საბრძოლო ამოცანა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება საბერძნეთის მთავრობისადმი

28 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საბერძნეთის ელჩს მოსკოვში გა. ვალანის გადასცა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა მთავრობას საზეგვარგარეთის ბევრი წყაროდან მოუვიდა ცნობა, რომ დასავლეთ საბერძნეთის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, საერთაშორისო პროგრესული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ნიკოს ბელონიასს ასეთი ბედი ელოდებოდა. ბელონიასს ასეთ ბედს ელოდებოდა ომის ბოლოს, ანუ ოცი წლის ბოლოს, ოცი ოქტომბრის ბოლოს, ოცი ოქტომბრის ბოლოს. ეს ბედი ელოდებოდა ბელონიასს, ეს ბედი ელოდებოდა ბელონიასს, ეს ბედი ელოდებოდა ბელონიასს,

საქართველოს ამბები

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების პროგრამა

მსოფლიო საზოგადოებრიობასა და პრესას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენად მიაჩნიათ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია, რომელმაც მუშაობა დაამთავრა კარლოვი ვარში. ყველა კონტინენტის ქვეყნების პრესა ფართოდ ბეჭდავს კონფერენციის დელეგატთა გამოსვლებს, მის საბოლოო დოკუმენტებს. კომენტარებს კონფერენციის შედეგების გამო წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის და უშიშროების განმტკიცების საქმეში, მთელი იმ ძალების ერთობის განმტკიცების საქმეში, რომლებიც აგრესიისა და ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

ბრატ. ჩეხოსლოვაკიის პრესაში ცენტრალური ადგილი უკავია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მასალებს. პირველ გვერდებზე იბეჭდება კომუნიკე კონფერენციის მუშაობის დამთავრების შესახებ, განცხადება „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის". გაზეთების სათაურებში ჯეიხსულობთ: „მოწოდება ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბრძოლველად", „შემუშავებულია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის მოწოდება ევროპის ხალხებს უფრო მეტად დაუპირონ მბარი აწერიკელ აგრესორთა. ჩინაალმდეგ მებრძოლ ჩვენს ხალს", ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნიან ზანი" პირველ გვერდზე ბეჭდავს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების მიმართვას, რომელშიც მოუწოდებენ გაძლიერონ ბრძოლა გმირი ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად.

გუდაპეშტი. „ნეფსაბადშაგმა" და სხვა უნგრულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სრული ტექსტი კარლოვი ვარის კონფერენციის მონაწილე ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებისა. „ნეფსაბადშაგი" ხაზს უსვამს, რომ განცხადება მიღებულია ერთხმად. გაზეთები ბეჭდავენ აგრეთვე კონფერენციის საბოლოო კომუნიკეს, დელეგაციათა მეთაურების სიტყვებს.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის აზრით „კარლოვი ვარის კონფერენცია დამაჯერებლად ცხადყოფს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობასა და შეკავშირებას. „ნოიეს დოიჩლანდი", „ბერლინერ �ტუნგი", „ტრიბუნე" და სხვა გაზეთები თითქმის მთელ გვერდებს უძღვნიან ევროპის ქვეყნების მოძმე პარტიათა ფორუმს. გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ კონფერენციის განცხადებას „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის". გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ამ განცხადებას „ისტორიულ დოკუმენტს" უწოდებს.

სოფია. ყველა ცენტრალური ბულგარული გაზეთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის საბოლოო დოკუმენტებს. მიაჩნია, რომ ისინი ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის მოქმედების ფართო პროგრამაა.

პარიზი. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ დამთავრდა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია. „ლუმანიტე" ბეჭდავს კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტებსა და კარლოვი ვარში თავისი სპეციალური კორესპონდენტების სტატიებს. „ლუმანიტე" აშუქებს განცხადებას „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის" და წერს: „ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ნათლად აანალიზებს ევროპის ახლანდელ ვითარებას".

ბონი. გაზეთები ბეჭდავენ ინფორმაციას კარლოვი ვარის კონფერენციის დამთავრების შესახებ და ხაზს უსვამენ ცნობას, რომ კონფერენციამ მიიღო განცხადება „ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საკითხზე". „შტუტგარტერ ციტუნგი", „გენერალ-ანეიგერი", „ფრანკფურტერ რუნდშაუ" და სხვა გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ამ განცხადებაში მოითხოვენ გაუქმდეს სამხედრო ბლოკები და შეიქმნას ევროპის უშიშროების კოლექტიური სისტემა. (საკდესი).

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 28 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტი ჯონსონი ერთ საათზე მეტს ეთათბირა დღეს თეთრ სახლში სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის ჯარების სარდალს გენერალ უესტმორლენდს. ამ თათბირს დაესწრნენ სახელმწიფო მდივანი რასკი, თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი უილერი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე კატაცენბაკი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვესნი, პრეზიდენტის თანაშემწე კომერი, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში როსტოუ და თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანი კრისტიანი.

პრეზიდენტი ჯონსონი და მისი უახლოესი სამხედრო და დიპლომატიური მრჩევლები იხილავდნენ ვიეტნამში შექმნილ მდგომარეობას.

ამ. გლეზოსის სიკვდილი საფრთხეშია

ბელგრადი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, ათენიდან მიღებული ცნობებით, საბერძნეთის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა მანოლის გლეზოსს, ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, ცნობილ ანტიფაშისტურ მებრძოლს, საბერძნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწეს, ადამიანს, რომელმაც ფაშისტური ალამი ჩამოგლიჯა ათენის აკროპოლიდან.

კინოფესტივალი კანში

კანი, 28 აპრილი. (საკდესი). „კატრინა იზმაილოვა" და „ომი და მშვიდობა" — ამ ორ საბჭოთა ფილმს ნახავენ მაყურებლები კანში დაწყებულ კინოფესტივალზე.

საბჭოთა კინემატოგრაფიამ ოფიციალურად წარადგინა ფესტივალზე მ. შაპიროს ფილმი „კატრინა იზმაილოვა". ს. ბონდარჩუკის კინოეპოპეა „ომი და მშვიდობა" კინოკურსგარეშე იქნება ნაჩვენები.

ფესტივალში მონაწილეობს 20-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და სხვები. როგორც ყოველთვის, კინოფესტივალის პარალელურად კანში გაიმართება საერთაშორისო კრიტიკის კვირეული. კვირეულზე უჩვენებენ ფილმებს, რომლებიც არ არის წარდგენილი ძირითად ეკრანზე საჩვენებლად.

აკადემიკოსი კოლმოგოროვი ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრია

ნიუ-იორკი, 28, აპრილი. (საკდესი). ცნობილი საბჭოთა მეცნიერი-მათემატიკოსი აკადემიკოსი ა. ნ. კოლმოგოროვი არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. ამას იუწყება დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".

უკანონო განაჩენი

პარაღა, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დამცველთა კომიტეტმა საბერძნეთის მეფეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ამირებენ გაუსწორდნენ საბერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს.

დრაკონული კანონპროექტი

ვაშინგტონი, 27 აპრილი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელმა კომისიამ გუშინ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 20.000-დოლარ ჯარიმას და 20 წლამდე პატიმრობას საზრუნავიეტნამელი პატრიოტების ან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დასახმარებლად სახსრების თუ შეწირულების შეგროვებისათვის.

ეს კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე 10.000 დოლარ ჯარიმას და ხუთ წლის პატიმრობას „დაბრკოლებისათვის", რომელსაც სამხედრო პერსონალის გადაყვანას ან საომარი მასალებისა და აღჭურვილობის მიწოდებას შეუქმნიან „შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში".

ახალი აფეთქება

ვაშინგტონი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატში ბოლოგზხე მოახდინეს მეცხრე მიწისქვეშა ატომური აფეთქება მომდინარე წელს.

გმირი კოსმონავტის სსოვნისათვის

პარიზი, 27 აპრილი. (საკდესი). პარიზის მახლობლად მდებარე ქალაქ ტრაპის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას კოსმონავტ ვ. მ. კომაროვის სახელი დაერქმეგა. ეს აუწყა საბჭოთა კავშირის პარიზის სალაქო ქალაქ ტრაპის მერმა პერნარ იუგომ, რომელმაც სთხოვა სამეძიმარი გადასცენ დაღუპული გმირის ოჯახს.

გაათავისუფლეს ჰ. ვიეირა

ბოგოტა, 27 აპრილი. (საკდესი). პატიმრობიდან გაათავისუფლეს კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჰილბერტო ვიეირა.

ხელისუფალთა ბრძანებით ვიეირა კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებთან, პროფკავშირულ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად დაეპატიმრეს 10 მარტს.

ბიპარის მთავრობის გადაწყვეტილება

დელი, 28 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის ბიპარის შტატის მთავრობამ 1 მაისი გამოაცხადა ხელფასიან დასასვენებელ დღად. იუწყება იხდოეთის სააგენტო იუნი.

ა. გრამშის ხსოვნისათვის

რომი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს შესრულდა 30 წელი, რაც ფაშისტურ საპყრობილეში გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი ანტონიო გრამში. გრამში მარტო თავის პარტიისათვის როდი იბრძოდა, ნათქვამია ჯანცხადებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ. იგი დაიღუპა დემოკრატიის ძირითად მონაპოვართა, იტალიელი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში.

დღეს ქალაქ კალიარიში (სარდინიის კუნძული) დამთავრდა ა. გრამშის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო თეორიული კონფერენცია.

ამინდგთ ლენინური იდეები

სტამბოლი, 27 აპრილი. (საკდესი). თურქეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით კონფისკებულია აქ გამოცემული ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატია „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი". პროკურატურამ ბროშურის მთარგმნელის წინააღმდეგ აღძრა სასამართლო საქმე, ბრალად დასდო მას კომუნიზმის პროპაგანდა.







ფოტოაპარატით სოციალისტურ ქვეყნებში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. დიდი მუშაობა წარმოებს ორანიენბურგის (პოტსდამის ოლქი) რძის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მეცნიერები შრომობენ კვების პროდუქტების გემოსა და უყაოთიანობის გაუმჯობესების, მათი ხანგრძლივად შენახვის, დაკონსერვების პრობლემების გადასაჭრელად. სპეციალისტები ეხმარებიან სახელმწიფოს რძის მრეწველობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმის შემუშავებაში. სურათზე თქვენ ხედავთ ინსტიტუტის თანამშრომელს ჰანს-გეორგ ბაიმს, რომელიც განსაზღვრავს ნადნობი ყველის სორტულ ხარისხს.

ფერფლიდან ფენიქსივით აღდგა პოლონეთის დედაქალაქი — ულამაზესი ვარშავა. ავტორმა ამ სურათს „ვარშავის ჩირაღდნები" უწოდა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. უკანასკნელ წლებში რვაჯერ გაიზარდა ხელოვნური აბრეშუმის წარმოება. მთელი პროდუქციის ნახევარი საექსპორტოდ მიდის. იზრდება ხელოვნური აბრეშუმის ფაბრიკის სიმძლავრე, რომელიც ამას წინათ ჩადგა მწყობრში ქალაქ ნიერგესუფალუში. წელიწადში ათასი ტონა პოლიამიდური აბრეშუმის ძაფს იძლევა ამ საწარმოს ახალი საამქრო (ქვემო მარჯვენა სურათზე), რომელიც თანამედროვე მოწყობილობით არის აღჭურვილი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაობა ყაირათიანობისა და მომჭირნეობის უზრუნველსაყოფად

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლის გასაძლიერად. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო კონტროლის ჯგუფები დიდ მუშაობას ეწევიან მატერიალური და ფულადი რესურსების ეკონომიისათვის.

საქალაქო კომიტეტები თავიანთი აქტივისტებისათვის ორგანულად აწყობენ თათბირ-სემინარებს. ხელმძღვანელი ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის შეიმუშავეს რეკომენდაციები, თუ როგორ გაუწიონ კოლტროლი და დაეხმარონ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგამჭოლობის საწარმოებს. მშენებლობებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, კომიტეტების გეგმებით გათვალისწინებულია მეისწავლონ ყაირათიანობასა და მომჭირნეობასთან დაკავშირებული საკითხები, მუშაობაში ყაირათიანობისა და მომჭირნეობის უზრუნველსაყოფად ფართოდ იყენებენ მასობრივ შემოწმებებს, რეიდებს, დათვალიერებებს, ისმენენ სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა. საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

აქტიურად მონაწილეობენ სახალხო კონტროლიორები მუდმივმოქმედი კომისიების შექმნაში, რომლებიც „კონტროლს უწევენ სამრეწველო საწარმოებში, ორგანიზაცია-დაწესებულებებში ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის, სათბობისა და ფულადი სახსრების ყაირათიანად ხარჯვას. ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოები კომკავშირულ პროექტორისტებთან, პროფკავშირულ აქტივთან და ადგილობრივი საბჭოების კომისიებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ, რათა ფართოდ ჩაბან მშრომელთა მასები ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლაში.

სახალხო კონტროლიორების მუშაობა მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა. 1966 წელს მთლიანად ქალაქში დაიზოგა 9.431,3 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1.027.9 ტონა შავი და 75,25 ტონა ფერადი ლითონი, 5.474,5 ტონა პირობითი სათბობი. დაინერგა 4 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რაც 3.358,6 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

კონტროლის საქალაქო კომიტეტმა შეამოწმა შავი და ფერადი ლითონნების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მდგომარეობა კავკასიის „ელექტრომშენი" ტრესტის ლითონკონტროლიცათა ქარხანაში. „მაკომთრანსი", „ბაბაჯანიანის" ქარხნებში და გამოაკლინა ალუმინის, ფაფუკლოვანი ლითონის გადახარჯვა. ამ საწარმოთა ადმინისტრაციებთან ერთად შემუშავებულია ლითონის გადახარჯვის ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

კომიტეტმა შეისწავლა აგრეთვე საკითხები, თუ რა მდგომარეობაშია აღრიცხვა, ანგარიშგება და ნედლეულისა და მასალების ხარჯვა პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „იეერიაში", პროდუქციის თვითდირებულების შემცირება — № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში. თბილისის ხელსაწყოსაშენებელ, ელექნიკის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნებში, № 1 პურის ქარხანასა და ხორცის კომბინატში. კომიტეტმა გამოავლინა ნაკლოვანებანი, დასაბა მათი აღმოფხვრის გზები. მოისმინეს მარჯვენა ნაპირის „თბილკვებაჭიმრობის" დირექციის ანგარიში სავაჭრო ქსელში ზარალის ლიკვიდაციისა და ზენორმატიული ნარჩენების შემცირების ლიკვიდაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები სისტემატურად ამოწმებენ და იხილავენ რკინის ჯართის შეგროვებისა და ჩაბარების მსვლელობას. ამ საქმეში სახალხო კონტროლიორთა პრაქტიკული მონაწილეობა „დადებით შედეგებს იძლევა.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის დიდ მუშაობას ეწევიან თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლიორები, სადაც კონტროლის საერთო საქარხნო ჯგუფის თავმჯდომარეა ხ. ჩიგანე. სახალხო კონტროლიორთა წინადადებით ადმინისტრაციამ ავტომატურ რეგულირებაზე გადაიყვანა ინდუქციური ჯაჭვუმის ღუმელები, „გაუმჯობესა ელექტროღუმელების, ავტოკლავებისა და სხვა თბოგადაგებების იზოლაცია.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხებს სისტემატურად სწავლობენ ფბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის სახალხო კონტროლიორები. აქ ჯგუფმა, რომელსაც ლ. ლუდჩენკო მეთაურობს, გამოარკვია, რომ მანქანების არასწორი რეგულირების შედეგად ფაბრიკაში სისტემატურად ხდებოდა ქაღალდის გადახარჯვა. კონტროლი დაანერეს მექანიკოსმარეგულირებელთა მუშაობაზე, მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების გრაფიკის დაცვაზე.

მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა კერამიკული კომბინატის, სალოკომოტივო დეპოს, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, საინსტრუმენტო, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნების, პირველი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის, ცენტრალური ტელეგრაფის და ბეჭრი სხვა საწარმოსა და ორგანიზაციის სახალხო კონტროლიორთა მუშაობა.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშობა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა. ისინი ხელს უწყობენ ისეთი საკითხების დადგმას, როგორიცაა ელექტრული და თბოენერგიისა და სათბობის „გადახარჯვის, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპერსონალის შენახვის ხარჯების შემცირება, ავლენენ სამეტალო-საფრანგანო დისციპლინის დარღვევებს.

ამასთან ერთად, როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საქმიანობაში სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის ხელშემწყობლობისათვის არის ნაკლოვანებანიც. ამ ბოლო დროს სრულად ვერ იყენებენ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის მუშაობაში სახალხო კონტროლიორთა აქტიური მონაწილეობის ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც წარმოიშვა მასობრივი დათვალიერების პერიოდში. ზოგიერთი ჯგუფი და საგუშაგო ფაქტიურად მიღწეულ შედეგებს და არ აწარმოებს სისტემატურ მუშაობას მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დაზოგვის დამატებითი რეზერვების ასამოქმედებლად. კომიტეტებისა და ჯგუფების მიერ შესრულებული შემოწმებანი ყოველთვის ეფექტიანი როდია.

მთელ რიგ საწარმოებში შემჩნეულია ნედლეულისა და მასალების გადახარჯვა, წუნი, დანაკარგები, ბეჭრი დაუდგმელი და ზედმეტი მოწყობილობა. თუმცა ქალაქის საამშენებლო ტრესტებსა და სამმართველოებს მნიშვნელოვანი რაოდენობით მოეპოვებათ გამოუყენებელი რეზერვები, მაგრამ სახალხო კონტროლის ორგანოებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს განეხორციელებინათ მაცური კონტროლი იმ სამშენი მასალებისა და ფულადი სახსრების ხარჯვისადმი, რომლებიც გამოყოფილია ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის. სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფი არ სვამს საკითხს, რომ გადათესონოს ნედლეულისა და მასალების ხარჯის მოცულობული ნორმები.

დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ № 3 ხისღამუშავებელი კომბინატის, ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის, ულკოჰოლო სასმელებისა და ნახმარორთქლგენის, „მთავართბილისმშენის" № 9 სამშენებლო სამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფები.

განიხილა და მოიწონა რა თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლაში, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა თბილისის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებს წინადადება მისცა საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრონ კონკრეტული ამოცანები, რათა გააძლიერონ მუშაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, უკეთ გამოიყენონ ნედლეული, სათბობი, მასალები, შრომითი და საფინანსო რესურსები, შეამცირონ პროდუქციის ერთეულის წარმოების ხარჯები, აღმოფხვრან უყაირათიანობა, უთავბოლო ხარჯვა, შეამცირონ დაუდგმელი მოწყობილობის მოცულობა, ახალ სიმძლავრეთა ათვისების ვადები, დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და შეამცირონ მისი თვითღირებულება, უთუოდ შეასრულონ საწარმოო გეგმები და მათი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, გააძლიერონ კონტროლი კაპიტალური დაბანდების ეფექტიანად გამოყენებისადმი.

თბილისის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეგალათ პრინციპულობა და მომთხოვნელობა გამოიჩინონ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლაში, შეურიგებელად მოეკიდონ სახალხო დოვლათის გახიავების ფაქტებს. პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი, შექმნან მათდამი სიზოგადოებრივი გაკიცხვისა და შეურიგებლობის ვითარება.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები მოწოდებული არიან სახალხო კონტროლიორთა უფრადღება მიაპყრონ იმას, რომ განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი და დაეხმარონ მშრომელთა კოლექტივებს, რომ შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსშესაფერად ნაკლები ვალდებულებანი, მიაღწიონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, ყოველნაირად ამაღლონ ტექნიკური დონე, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, უზრუნველყონ მომზადებისა და ყაირათიანობისა, დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დარგში მუშაობის გაშლისას სახალხო კონტროლის კომიტეტებმა უნდა გამოიყენონ მასობრივი რეიდები, დათვალიერებანი, შემოწმებანი წარმოების რეზერვების გამოსავლინებლად, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა კომისიებთან ერთობლივი მუშობის სხვადასხვა ფორმა, უფრო ფართოდ ჩაბან სახალხო კონტროლის საქმეში სპეციალისტები, ნოვატორები, მეცნიერები, შემოქმედებითი გაერთიანებანი. მშრომელებს მჭიდრო კავშირი დამყარონ ეკონომიური ანალიზის ბიუროებთან, სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ სახალხო კონტროლიორთა მუშობის მოწინავე გამოცდილება მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დარგში.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დარგში აქტიური და ნაყოფიერი შემოწმებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა სამადლობელო სიტყვა უჩუქნა დაჯილდოვა სახალხო კონტროლის აქტივისტები, რომლებმაც ყველაზე მეტად ისახელეს თავი. (საქდესი).

ორგანიზებულად გაძლავიდეთ მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე

27 აპრილს მუშაობა დაამთავრა ეკონომისტთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მიეძღვნა სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებით მრეწველობის დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირის პლენარულ სხდომებზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი გ. დ. ჟორჟიკაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ს. ცინცაძე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე ნ. ზ. შავაძე, რუსთავის ქიმიური კომბინატის ეკონომისტი გ. კ. ოტიაშვილი, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის დირექტორი ს. ვ. კიკნაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ი. ვადაკორია, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო განყოფილების უფროსი ს. ი. მეტუკე, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. პ. ახკვაბი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო განყოფილების უფროსი ა. ს. ჩიჩუა, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ი. ხარაზი, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვ. ვ. ჯაფარიძე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ე. რაკოვსკმ.

თათბირმა მოისმინა სექციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. ს. მიქელაძისა — სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფისა და რესპუბლიკის მეურნეობის კომპლექსური განვითარების პრობლემების შესახებ; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მ. გ. კოდუასი — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფის, პირდაპირი ურთიერთობის განვითარებისა და სამეურნეო ხელშეკრულებათა სისტემის განმტკიცების შესახებ; საქართველოს სსრ-სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის დოცენტ ვ. ი. მელქაძისა — სამეურნეო რეფორმის განხორციელების, სამრეწველო საწარმოებში ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და დაგეგმვისა და მართვის მათემატიკური მეთოდების გამოყენების პრობლემებზე; საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის დოცენტ ვ. ს. ტრაპაიძისა — დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში საფინანსო-საკრედიტო მუშაობის გაუმჯობესებისა და ფასების სრულყოფის საკითხების შესახებ; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის გ. დ. ჟორჟიკაშვილისა — აღრიცხვისა და სტატისტიკის გაუმჯობესების საკითხებზე; ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. ვ. გეგეშიძისა — სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებით ეკონომიური მეცნიერების აქტუალური პრობლემები და უმაღლესი სასწავლებლების ამოცანები ეკონომისტების მომზადებისა და სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

შემდეგ თათბირმა მიიღო რეკომენდაციები.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ. (საქდესი).

პავილიონები ადგებენ კარს

მონრეალი, 27 აპრილი. საკდესის კორესპონდენტები ვ. მიხაილოვი და ა. სტაროდუბი იუწყებიან:

ამ რეპორტაჟს თქვენ წაიკითხავთ, როცა „ექსპო-67"-ს — როგორც უწოდებენ 1967 წლის მსოფლიო გამოფენას — უკვე გახსნიან ზეიმით და ცერემონიით, სიტყვებით და მუსიკით, სალუტით. ამ მოვლენის ადგილია საგამოფენო ქალაქის ერთა მოედანი. ეს — 27 აპრილი, შუადღე ადგილობრივი დროით.

მონრეალის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობს ქვეყნების რეკორდული რიცხვი — 62 (ბრიუსელის წარსულ გამოფენაში მონაწილეობდა 45). მის 400 ჰექტარზე აგებულია 70-ზე მეტი პავილიონი. მათ ზერელე დათვალიერებასაც კი სულ ცოტა ერთი კვირა მოუნდება. „ექსპო-67"-დი ინტერესი მთელ მსოფლიოში ისე დიდია, რომ აქ აკრედიტებულია 20 ქვეყნის 15.000-მდე ჟურნალისტი. ათი ათასი უკვე აქ არის და იერიში მიაქვთ პავილიონებზე, აგროვებენ რეპორტაჟებს გაზეთებისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის.

ფართო საზოგადოებისათვის პავილიონის კარი გაიღება 28 აპრილს დილით. პაუზა ოფიციალური გახსნიდან ფაქტიურ გახსნამდე ბევრისათვის საჭიროა. 26 აპრილს ჩილის ზოგიერთი პავილიონი ჯერ კიდევ ცარიელი იყო — ექსპონატები გზაშია. ყველგან ახალი საღებავისა და გუდრონის სუნი დგას. ლეჯრ კომბინიზონიანი მშენებლები, რომლებსაც სხვადასხვა ფერის მუზარადი ახურავთ, ხსნიან ლითონის ხარაჩოებს, გაჰყავთ ბილიკები, დგამენ მერხებს, სანათურებს. ბევრ შენობასთან ბულდოზერები მუშაობენ შიედნების მოსასწორებლად. თვითმცლელებს გაეაქვთ მშენებლობის ნაგავი. ჯერ კიდევ რგავენ ხეებს, ბუჩქებს, ჯერ კიდევ ბევრია დაუმთავრებელი საქმე...

სამგზეროდ „ექსპოს" ხატრანსპორტი სამსახურს შეუძლია იამაყოს. ვერცხლისფერი ელექტრომატარებლები დაქრიან გამოფენის ტერიტორიის ერთ კუთხიდან მეორემდე: ეს არის მაკის კონცხის მთავარი შესასვლელი, წმინდა ლავრენტის მდინარის წყალები, სენტ-ელენისა და ნოტრ-დამის კუნძულები. გასართობთა ქალაქი.

სსრ კავშირის პავილიონი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია გამოფენაზე და, როგორც ყ

• სანდრო ახმეტელის დაგვიანების 80 წლისთავი

ხელოვანის უკვდავება

სანდრო ახმეტელი

სურათი გადაღებულია 1935 წელს.

დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ბაბილართეგა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

□ □

ქართული თეატრის

თეატრის

რაინდი

ქართული თეატრის ისტორია და სანდრო ახმეტელის სახელი განუყოფელია, მაგრამ, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, იგი მარტო ისტორიას როდი ეკუთვნის. ის ცოცხლობს ჩვენს თანამედროვეთა შორის და დღესაც გვაღელვებს მის მიერ აღძრული თეატრალური პრობლემები. მართალია, მისი მოღვაწეობის შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა თეატრალური ტექნიკისა და სცენური საშუალებების სფეროში, მაგრამ უცვლელი დარჩა ახმეტელის თეატრის „ლამაზი არსი". ტრადიციის ცოცხალი ნერვიც დიდ თეატრალურ მოვლენათა ამ სიღრმეებშია საძიებელი და არა მის ზედაპირზე, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე.

ს. ახმეტელმა, რომელმაც ასე ბევრი რამ ისწავლა კ. მარჯანიშვილისაგან, საკუთარი ახალი თეატრალური სინამდვილე შექმნა. მარჯანიშვილისაგან მან მიიღო დიდი თეატრალური პრაქტიკა, ეზიარა მის გენიას.

ახმეტელი დიდი პოეტური აღმაფრენისა და საოცარი თეატრალური ხილვების რეჟისორი იყო. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა თვითმყოფობითა და მგზნებარე ტემპერამენტით, ვაჟკაცური შემართებითა და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით, „გახელებული თეატრალობითა" და პირველქმნილი სიწმინდით. ამ მხრივ იგი კვლავ რჩება გადაულახავ მწვერვალად.

დაუნებით, ქედუხრელად ეძებდა ახმეტელი ეროვნულ თეატრალურ გზებსა და საშუალებებს, დიდი პატრიოტული შთაგონებით ჰქმნიდა ახალ, თეატრალურ სინამდვილეს. იგი საკუთარ გარკვევითა და ყველას გასაგებად ამბობდა: „ახალი შინაარსის გადმოსაცემად საჭიროა ახალი საშუალებები. თქვენ. ძალიან კარგად ხედავთ, რომ დღევანდელი ფრანცი ხვალ ანზორში გეკლინებათ. დღეს მსახიობი „ქარლოსია, ხვალ კი ჩოხით არის შემოსილი. უცნაურია!?. ხანჯლებიანი და ნაბდებიანი მსახიობები მისწვდნენ კლასიკის სმალლეებს... მე ვიცი, რომ თქვენ ჩოხებით არ ივლით, ვიცი არ ივლით არც ფრაკებით, მაგრამ მთავარია სული და ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ცეკვებიდან და სიმღერებიდან ავიღოთ ელემენტები ახალი საშუალებებისათვის".

ნამდვილი სიკაბუკის განსახიერება იყო ახმეტელის თეატრი, და ისინიც რომანტიკოსები იყვნენ, რომლებიც მის გვერდით იდგნენ.

ახმეტელი ფართო შემოქმედებითი ინტერესების რეჟისორი იყო. „ჩვენ არა ვართ ერთი რატმის თეატრი", — ამბობდა იგი და გულმოდგინედ ზრუნავდა თეატრის. შემოქმედებითი შესაძლებლობის გაფართოებისათვის, მისი მხატვრული პროფილის გამდიდრებისათვის. მაგრამ იგი მუდამ გვახსენებდა, რომ „ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი სახე, საკუთარი სტილი. ეს თუ არ გვექნა, გარდუვალია ეკლექტიზმი. რუსთაველის თეატრს უფლება აქვს სრულიად თავისებური გზა ჰქონდეს საკავშირო თეატრალურ ხელოვნებაში. რუსთაველის თეატრი იცავს თავის განსხვავებულობას. მისი ეროვნული სტილის სარისხობრივ განვითარებას ინტერნაციონალურისაკენ მიეყავართ. აი ჩვენი გზა".

ახალი თეატრალური გზების ძიება სანდრო ახმეტელმა თავისი ეპოქის ძირითადი ტენდენციების გამოხატვით დაიწყო. მან იცოდა, რომ თეატრში მთავარია „პრობლემების ძიება და არა დეკორაციების შეცვლა და სცენის ტრიალი". იგი მკაფიოდ გაემიჯნა ყოფითს, სალონურ თეატრს. „მე არა მსურს ყოფითი თეატრი, — აცხადებდა ახმეტელი, — ვერ წარმომიდგენია, რომ ახალი საბჭოთა სინამდვილის ასახვა ყოფითმა თეატრმა შეძლოს. ყოველდღიურ საქმიანობაში მე ვხედავ უდიდესი აზრის მატარებელ გიგანტებს... მე არ ვხახავ, არ ელამპარაკობ, როგორ მუშაობს, როგორ დადის ტრამვაით საბჭოთა მოქალაქე... მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა ახალი აზრებით ცხოვრობს იგი. მინდა ვიხილო გმირები... ჩვენმა თეატრმა ამ დიდი ფორმებით უნდა იაროს. დიდი აზრის თეატრის გარეშე ჩვენ მუშობა არ შეგვიძლია".

ეს იყო მისი მრწამსი, მისი იდეალი, და ამ გზით ეძებდა იგი ახალ თეატრალურ საშუალებებს.

როგორც ვხედავთ, ახმეტელი თეატრის ინტელექტუალური სახის პრობლემას უშუალოდ უკავშირებს ემოციური დაძაბულობისა და მონუმენტური ფორმების საკითხს.

ახმეტელის იდეალს „ვეფხისტყაოსანი" გმირები წარმოადგენენ. იგი ხედავდა, რომ ქართულმა ლიტერატურამ და ფოლკლორმა შესანიშნავად გვიჩვენეს გმირულისა და ფსიქოლოგიურის ის ერთიანობა, რომლის ანალოგიასაც ახმეტელი თეატრში ეძებდა.

გმირობისა და რაინდული მგზნებარების იდეალი ევროპის ან სხვა ქვეყნების თეატრებიდან არ მიუღია ახმეტელს. მან ქართულ სინამდვილეში იპოვნა ეს იდეალი და სცადა მის თეატრალური განსახიერება. ა. ლუნაჩარსკი ახმეტელის ძიებათა შესახებ ამბობდა: „ეს ცხოველი აქტიორული გენიალობა მას ძალდატანებით არ გაუხვევია ევროპის თეატრალურ სამოსში, არამედ, ასე ვთქვათ, ეროვნული ნიჭიერებით აღბეჭდილ შშვენიერ და მძლავრ სხეულს მოარგო ახალი თეატრალური ფორმა".

მან ისე, როგორც არავინ ქართულ სცენაზე, იგრძნო ხალხის გმირული სული. ახმეტელმა „გამოსახა ხალხის მასები მათს რევოლუციურ აზვირთებაში" (ა. ლუნაჩარსკი), გვიჩვენა მათი გულწრფელი და ჭმირული განცდა. მან ცხადყო, რომ გმირული თეატრი „სრულიადაც არ გამორიცხავს ფსიქოლოგიას. და ადამიანურ გრძნობას" (ე. ბესკინი).

„ანზორის" მე-3 და მე-4 აქტებზე მაყურებელი უნებლიეთ არღვევდა „კარგ ტონს" და დაუსრულებელ ოვაციას უმართავდა თეატრს. სცენაზე იყო ძველისა და ახლის მძაფრი ჭიდილი. იყო რევოლუციური მგზნებარება და

ქართული თეატრის რაინდი

პოეზია. სიკვდილი, რომელიც მაღალი აზრისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ეწეოდა გმირს, ივსებოდა ახალი აზრითა და რომანტიკით. ულამაზესი ქალის მიერ ჭაბუკის საცეკვაოდ ანუ სასიკვდილოდ გამოხმობა შეესაბამებოდა ახმეტელის თეატრალური ესთეტიკის იმ იდეალს, რომელსაც მან „რაინდული რომანტიზმი" უწოდა.

ახმეტელის ამ სპექტაკლში მოცემული იყო მასისა და ინდივიდის მრავალმხრივი ჭიდილი. ამ ჭიდილში იწრთობოდა და იბადებოდა ახალი ადამიანი. ამ ადამიანს ჰქონდა ძლიერი რწმენა, ნების სიმტკიცე და მძიებელი სული. იგი ვაჟკაცურად ეძებდა ცხოვრების გარდამქმნელ საშუალებს, მან არ იცოდა სიძაბუნე. მის სულს შუდამ ავსებდა სიდიადე მიზწრაფებათა და ახალი სიმყაროს ესთეტიკური განცდის მშვენიერება.

ასე სურდა ახმეტელს სიკაბუკეშიც. იგი ამბობდა, რომ ქართულმა თეატრმა უნდა შექმნას და სრულყოს „ქართველი ადამიანის სულის ფორმები", მან უნდა მოგვცეს ახალი სახე ქართველი კაცისაო.

გამართლდა სიკაბუკის ნაოცნებარი.. 1933 წელს მოსკოვში გასტროლების დროს პირდაპირ ითქვა: „ჩვენ ვნახეთ კოლექტივი, რომელიც არც ერთ წუთს არ იკარგებდა ხელოვნების დიად დანიშნულებას: განსახიეროს სინამდვილე, ისე გარდაქმნას და აღზარდოს ხალხი, რომ იგი დაუაბლოოს ახალი ადამიანის იდეალს" (ნ. გონჩაროვა).

თავისი თანამედროვეობით სუნთქავდა ახმეტელის მთელი შემოქმედება. „ანზორი", „რლვევა", „თეთნულდი", „ქართა ქალაქი" წარსულის ისტორიას როდი ასახავდა.

ქართული თეატრის რაინდი

...

...

...

ჩვენს არე-მარეში



გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ფესტივალი, დღე მეორე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გრძელდება თვითმოქმედი ხელოვნების საქალაქო ფესტივალი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სახალხო ტალანტების ამ მასობრივი დათვალიერების მეორე დღეს გამოვიდნენ დედაქალაქის კიდევ სამი — კალინინის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. დარბაზმა კვლავ ტაში დაუკრა საწარმოთა და დაწესებულებათა თვითმოქმედ მსახიობთა ხელოვნებას.

კოლექტივებმა ეიურისა და მაუურებელთა სამსჯავრზე წარადგინეს პროგრამის 95 ნომერი.

კონცერტზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა მუსიკალური ნაწარმოებები.

ამ საღამოს გამოვიდნენ თბილისის მასწავლებელთა სახლის კაპელის, ი. ჯავაშვილის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის, „თბილისგასტრონომვაჭრობის“ ტრესტის მხატვრული თვითმოქმედებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის საშართველოს, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟისა“ და წინდის ფაბრიკა „კრწანისის“, ქარხანა „ელექტროვატომატის“, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაკების კულტურის სახლის, დიმიტროვის სახელობის ქარხნისა და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის, სადგურ ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები. (საქდესი).



ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა ეს სურათი გუშინ გადაიღო თბილისი ზოოპარკის შესასვლელთან. აქ გაშენებულ ახალ სკვერში პატარები ლაღად დარბიან, ხაროობენ.

ზელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიამ, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

სესია გახსნა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. აბულაძემ. მეცნიერმა წაიკითხა მოხსენება „ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეში მოპოვებული წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, — თქვა პროფესორმა ი. აბულაძემ, — ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა ჩვენს რესპუბლიკაში დიდად განვითარდა. ამ საქმეში მუშაობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორნიც იყვნენ აკადემიკოსები ი. ჯავახიშვილი, ა. კორელიძე და სხვები. რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოგვლენა იყო ის, რომ 1923 წელს ვ. ჩალაშვილმა აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები.

ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი. ცხრა წლის არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა გამოსცა ძველი ქართული ხელნაწერების ფონდების აღწერათა ხუთი ტომი, შოამზადა აღმოსავლური ხელნაწერების კოლექციის პირველი ტომი, ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის 14 ტექსტი და სხვ. მათ შორისაა იოანე მოსხის „ლიმონარი“ ანუ „სამოთხე“, „ალ ბუსთანი“ X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით, IX-XI საუკუნეთა ამოკრიფების ქართული ვერსიები, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVII საუკუნეები).

პროფესორმა ი. აბულაძემ აღნიშნა, თუ რა გულმოდგინედ სწავლობენ ძველ ქართულ ხელნაწერებს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ქართული ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართული ხელოვნების ისტორიის, ეკონომიკისა და სამართლის ენათმეცნიერების ინსტიტუტები, თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა.

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. შომბაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მიღწევები დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე“. „მეორე სკეთთას“ ქართული რედაქციები“ — ამ თემას მიუძღვნა მოხსენება უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. გოგუაძემ. უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ც. ქერცაკიძემ წაიკითხა მოხსენება — „ბარუქის წიგნის ქართული ვერსიები“.

სესია სამ დღეს გასტანს. წაიკითხავენ მოხსენებებს, რომლებიც მიეძღვნება ქართული დიპლომატიკის (საგელთმცოდნეობის) საკითხებს, დავით რეტორის ანთოლოგიის, თეიმურაზ პირველის თხზულებებში ნახმარი ზოგიერთი ლექსიკური სიტყვის მნიშვნელობას და სხვ. (საქდესი).



ოსტანკინოს ტელეკოშკი

27 აპრილს საღამოს აფრიალდა ალმი ოსტანკინოს ტელეკოშკზე. 19 საათსა და 30 წუთზე გიგანტურმა კოშკმა „მიაღწია თავის ზღვრულ სიმაღლეს, რომელიც ინჟინრებმა დაგეგმეს, — 537 მეტრს. ფოლადის ანტენის თავზე დამაგრებულია უზარმაზარი წითელი ალამი, რომელზეც გამოსახულია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი.

უბნის უფროსმა მ. პ. კოლესნიკმა საქდესის კორესპონდენტს უთხრა:

— ფოლადის ანძის უკანასკნელი რგოლი ალმართეს და დადგეს მემონტაჟე-მეჯიდმაღლების დიმიტრი პაპონოვის, ანატოლი კუშტაკოვის, ვალენტინ სელეზნევის, ვლადიმერ სახოვიჩის ბრიგადებმა. მათ ეხმარებოდა ვალენტინ კონოვალოვის მექანიზატორთა ბრიგადა, რომელმაც უზრუნველყო ყველა ამწევი მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობა.

კოშკის დადგმა მთელ დღეს გრძელდებოდა და დამთავრდა გრაფიკზე ადრე. ფოლადის კოშკის მთელი დამონტაჟება დამთავრდა ჯადამდე თვრამეტი დღით ადრე.

ქინომოუყვარულთა სხედია ქარხანაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა კლუბთან შეიქმნა კინომოყვარულთა სტუდია, სადაც 25 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი გაერთიანდა. უკვე მეძენილია კინოგადაღებისათვის საჭირო მოწყობილობა, მზადდება კინოსცენარი. საქართველოს კინომოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოებიდან მოწვეულია კონსულტანტი.

კინომოყვარულთა სტუდიას განზრახული აქვს საიუბილეოდ გადაიღოს ფილმი „ჩვენი ქარხანა“.

ქართველი მეცნიერი პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების ნევრია

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი ვასილის-ძე წერეთელი** არჩეულია პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრად. (საქდესი).

მამაცი კოსმონავტის სახელობისა

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ სოხუმის მე-19 საშუალო სკოლას მიანიჭა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვის სახელი. (საქდესი).

„საქართველოს კომუნისტი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეხტოალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკურ ჟურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ლენინის დროშით წინ — კომეწინაზის გამარჯვებისაკენ!; **ვ. ესაიაშვილი** — შრომისა და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის ლენინური პრინციპები; **გ. ზუმბაურიძე** — ვ. ი. ლენინი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ; **შ. კაკულია** — სოციალიზმი და პუმანიზმი.

გაანოფილებაში **„დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის“** გამოქვეყნებულია: **გ. ეკანია** — პარტიის ლენინური კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ და საქართველოს ბოლშევიკებენ; **ხ. ჩხარტიშვილი** — მუშათა კლასის შემოქმედებითი შრომის ფორმები კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში; **ვ. აბაშმაძე** — საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოგრძნობის შექმნისა და განმტკიცების ისტორიიდან; **ვ. გოგოლაშვილი** — საიუბილეო შეჯიბრების აკანგარდში.

ჟურნალს ავრეთვე აქვს განყოფილებები: **„პარტიული ცხოვრება“**, **„პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკა და პრაქტიკა“**, **„საერთაშორისო თემაზე“**, **„კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“**.

ვ. ნადარეიშვილი

ბატალიონ-ვალა პერსონალური ... სიტერორისტ... წევრი 1918 ... გრიგოლის-ძე ნადარეიშვილი.

გ. ნადარეიშვილი დაიბადა 1894 წელს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ ონტოფოში, გლეხის ოჯახში. 1913 წელს ონტოფოს ოთხკლასიანი სასწავლებელი დამთავრა. მალე ამის შემდეგ მეფის არმიაში გაიწვიეს.

რევოლუციურ მოძრაობაში გ. ნადარეიშვილი ადრე, ახალგაზრდობიდანვე ჩაება. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ნადარეიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა სენაკის საკრედიტო-საამხანაგო რაიკოოპერაციის ცხაკაიას კოოპერაციულ არტელ „შრომის“ გამგეობის თავმჯდომარედ, მენჭის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ცხაკაიას რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის მმართველად, სარეწო კოოპერაციულ არტელ „იმედის“ გამგეობის თავმჯდომარედ და სხვ.

გ. ნადარეიშვილი იყო გულისხმიერი და თავმდაბალი, პრინციპული და მომთხოვნი მუშაკი.

გ. ნადარეიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.



მოთეგის სალამი

სადაც დიდებულს მოკლა მეინვარსა...

ადამიანის სიცოცხლე სავსეა მოულოდნელობით. არასოდეს არ შეიძლება დაბეჯითებით თქვა, თუ რა ველის ხვალ ან ზეგ. არ იცოდა ეს ორმა მეგობარმაც, როცა ისინი ბერგეტის ბილიკით მწვერვალის დასაპყრობად მიდიოდნენ... მაგრამ სანამ ამ ამბავს გიამბობდეთ, მინდა გითხრათ, რომ ამ დღეებში განსაკუთრებული სისხარული განიცადეს ყაზბეგელმა ალპინისტებმა და მადლობითაინ მეტეოსადგურის მოზამთრეებმა, როცა ლენინური პრემიის ლაურეატთა შორის იური ივანეს-ძე მანინის სახელი ამოიკითხეს.

შეიძლება გაგიკვირდეთ, რა მეგობრობა აკავშირებს ქართველ მთიელებთან მოსკოველ მეცნიერს, ისიც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ალგებრული გეომეტრიისა და რიცხვთა თეორიის დარგის თვალსაჩინო ნაშრომის ავტორს იური ივანეს-ძე მანინს, რომელმაც შეძლო გადაეწყვიტა უაღრესად რთული ამოცანა, რაზედაც მთელი ათეული წლების მანძილზე თავს იმტვრევდნენ მსოფლიოს მათემატიკოსები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. დელონე წერს: „ი. ი. მანინმა დაამტკიცა თეორემა, რომელიც მეტისმეტად უსრულოა თავისი ფორმულირებით და უაღრესად ღრმაა თავისი შინაარსით. დაახლოებით ექვსი წელიწადი დასჭირდა ახალგაზრდა მეცნიერს ამ თეორემის დამადასტურებელი დიდმოცულობიანი შრომის ასაგებად...

ექვსი წლის წინათ კი იური მანინის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და მერე სად, მყინვარწვერის ფერდობზე!

...ვინ არ მოგბეზულა საქართველოს მთა-ველის სილამაზით, ჩვენი მრავალფეროვანი ბუნების ეშხით და სიკეკლუცით. აი, თუნდაც საქართველოს კარიბჭე — დარიალის ხეობა. საკმარისია ერთხელ იხილო მისი ცადაზიდული პიტალო კლდეები, მარად თოვლიანი მწვერვალები და მოისმინო თეგზის ღრიალი, რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდეს იგი. მარტო მყინვარწვერი რადა ღირს. რა მომხიბლავია მარადთოვლიანი ეს გოლიათი...

ბუნების ამ დიდებული სურათით მოჯადოებული იდგა ალბათ თეგზის პირას მოსკოველი ჭაბუკი იური მანინი, სტუდენტის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, რომელიც საქართველოში ტურისტული საგზურით ჩამოსულიყო, იდგა და გულში ს. კიროვის ნათქვამი აგონდებოდა: აქ შეიძლება დაიკუწყო ცხოვრების ყველა უსიამოვნება, ყველაზე დიდი გაბოროტება... ჩვენ ზოლის ვის არ უოცნებია ასულიყო ამ უახლოეს დეკემბერ მწვერვალზე, ვის არ იზიდავს ეს დიდებული მწვერვალი, კავკასიონის მთათა მეფე...

ალბათ მაშინ ულრუბლო დღე იყო და ცხრათვალა მზე დაჭნთოდა მყინვარწვერს, რომელიც, ყოველთვის შუბლშეკრული, მაშინ თითქოს აღრსით უცქერდა სამყაროს. ალბათ მაშინ გადაწყვიტა იური მისი დაპყრობა, სცადა კიდეც. მარტოდმარტო ავიდა ბერგეტის მყინვარზე და უამინდობის გამო უკან დაბრუნდა.

მას შემდეგ მის გულში პატარა კოცონად ენთო მყინვარწვერზე ასვლის სურვილი.

თავისი განზრახვა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ბავშვობის მეგობარს ეკვნენი ზასპოვს გაუზიარა. ეკვნენის უარი არ უთქვამს, შეთანხმდნენ მომავალ ზაფხულს ეკვნენის ახალგაზრდა მეგზურთან საქართველოში წამოსულიყვნენ და რამდენიმე დღე დარიალში გაიტარებინათ.

— შენს პატარძალს ტურისტთა ბაზაში დავტოვებთ, ჩვენ კი მყინვარწვერზე ავალთ, — ეუბნებოდა მეგობარს იური მანინი.

ასეც მოიქცნენ. 1961 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ისინი ყაზბეგს ეწვივნენ. ეკვნენის მეუღლე ლარისა ბეხიამინის ასული ტურისტთა ბაზაში დაბინავდა. და აი მეგობრები 2 ავიატაქსი ალიოზზე ბერგეტის მყინვარისაკენ შიმავალ გზას დაადგნენ.

სწორედ ეს პირველი ნაბიჯი იყო მათი საბედისწერო შეცდომა. ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ ძალებში, ალპინისტისათვის აუცილებელი ვარჯიშის გაუვლელად ფიქრობდნენ ამ ზვავდი მწვერვალის დაპყრობას. განზრახულის სისრულეში მოყვანა იმითაც იყო ძნელი, რომ მათ არ გააჩნდათ საჭირო საჭურველი.

მაგრამ მყინვარი რის მყინვარია, თუ თავისი მრისხანება არ გამოიჩინა. შუადღისას ერთბაშად მოიღრუბლა და ისე დაიქუხა, თითქოს ათასი ზარბაზანი გაისროლესო. მოზამთრენი შეშინდნენ. თუმცა იმედი ჰქონდათ, რომ თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლიდა, მთამავლელები დღის ოთხი საათისათვის თუ არა, საღამოზე მაინც დაბრუნდებოდნენ.

მთელი ღამე უძილოდ გაატარეს წასულთა მოლოდინში, მაგრამ ამაოდ.

მეორე დილაც გათენდა, რეზვანოვი დაკვირვებისათვის ყინულზე გავიდა და თან ბინოკლი წაიღო. საღამა შორს, ღრუბლების ნაფლეთებში, მყინვარწვერის ფერდობზე ძლივს შეამჩნია უგზოუკვლოდ მიმავალი ორი კაცი. დაყოვნება არ შეეძლებოდა. დილის 7 საათსა და 15 წუთზე მწვერვალის მიმართულებით გავიდა მამგელი ჯგუფი, რომელშიც სამი კაცი შედიოდა. სიარული ჭირდა. მიუხედავად დიდი თოვლისა, ბიჭები ჯიუტად მიიწევდნენ წინ. საღამა ბინდებულდნენ ორ ადამიანს ხედავდნენ. ეძე, ეეე, — ყვიროდნენ სათითოოდ. ეტყობოდა ალპინისტებსაც ესმოდათ მათი ძახილი. ამასობაში დაღამდა. მამგელმა ჯგუფმა მხოლოდ ღამის 11 საათსა და 35 წუთზე მიაღწია მთამსვლელებთან.

იური მანინმა ქართველი მეგობრები შორიდანვე იცნო და სათითოოდ ემოდარებოდა ყველას, ეკვნენის უშველეთ, მე არა მიჭირს რა. ეკვნენი ზახაროვი 30-35 მეტრზე დაცურებულიყო და თოვლში ღონემიხდილი იწვა. ბევრს ეცადნენ მას გადარჩენას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერც ხელოვნურმა სუნთქვამ უშველა და ვერც პირველი დახმარების სხვა საშუალებებმა. ყინვისა და შიმშილისაგან დატანჯულმა ჭაბუკმა ქართველი მეგობრების ხელში დალია სული.

ბიჭებმა როგორც იქნა მაზანთან მიაღწიეს, იგი ულოდნოდ თოვლზე გაშხლართულიყო და ქანცგამოლეული თითის განძრევაც არ შეეძლო. მისი წამოყვანისათვის ბიჭეებს ძალა არ ყოფნიდათ. ამიტომაც ფრთხილად ჩაუწვინეს საძინებელი ტომარაში და რომ არ დაცურებულიყო, თოვლი გათხარეს და იქ მოთავსებულ.

6 აგვისტოს — ღამის სამ საათზე ჯგუფი უკან დაბრუნდა. მალე სადგურიდან, რომელიც ზღვის დონიდან 3.700 მეტრის სიმაღლეზეა, მორგე რადისტმა ყაზბეგში ასეთი ცნობა გადასცა:

ოთხ აგვისტოს მწვერვალის მიმართულებით გასული ორი მთამსვლელი დღემდე არ დაბრუნებულა. ერთ-მთაგანი დაიღუპა, მეორე ცოცხალია. გთხოვთ დახმარებას.

ყაზბეგში განგაში ატყდა.

სულ რამდენიმე წუთი, და მთამსვლელთა მაშველი ჯგუფის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი ვახტანგ ქირიკაშვილი თავისი ხალხით მზად იყო. ათი კაცისაგან შემდგარი რაზმი მდინარე ჩხერეს ნაპირებით გერგეტის მყინვარისაკენ დაიძრა. ბიჭები ჩქარობდნენ. მათ ხელში იყო ადამიანის ბედი. მგლური ნაბიჯით მიეშურებოდა ვახტანგ ქირიკაშვილი, შესანიშნავი ვალეოლოგი და საოცარი გამძლეობის ალპინისტი.

სულიერი სიმტკიცე და დიდი ფიზიკური გამძლეობა გამოიჩინეს. იმ დღეს მამველი ჯგუფის წევრებმა, რომელშიც შედიოდნენ: კომკავშირის ყაზბეგის რაიკომის მდივანი იური ხაიკამეილი, მილიციის მუშაკი გაიოზ ფიცხელაური, ავტომძღოლები დავით ალიბეგაშვილი და ჩიტა ხაიკამეილი, ტურბაზის ინსტრუქტორი დიმიტრი სუჯაშვილი, ყაზბეგში პრაქტიკაზე მყოფი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვახტანგ ქეშაშვილი და სხვები. მყინვარწვერზე ასვლას ჩვეულებრივად ორ დღეს უნდებიან, მამგელი ჯგუფი კი შემთხვევის ადგილას (მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთი, ზღვის დონიდან 4.800 მეტრი) იმავე დღის საღამოს 9 საათზე იყო.

იური ავოროაში იყო, რაღაცას ბუტბუტებდა, ეტყობოდა საყვარელ ფიდას ესაუბრებოდა შორეულ მოსკოვში.

სასწრაფო საექიმო დახმარებამ თავისი გაიტანა. „იური მანინი სიცოცხლეს გამოსტაკაცს. ქართველმა მეგობრებმა იგი იმავე ღამეს დიდი სიფრთხილით მეტეოსადგურში ჩამოიყვანეს, ხოლო ეკვნენის ცხედარი დროებით ხმაურასთან დატოვეს.

მოსკოვში გამგზავრების წინ იური ბულითადად დაემშვიდობა ქართველ მეგობრებს: — ვერასოდეს ვერ დავიწყებ იმ დახმარებას, რაც ჩვენი სიცოცხლის ყველაზე მძიმე ჟამს გამიწიეთ, თქვენი სიკეთე ჩემში მუდამ იცოცხლებს.

მერე კი ვახტანგ ქირიკაშვილს ერთი საიდუმლო გაანდო: — მყინვარწვერზე მაინც ავალ!

მას შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა, მაგრამ იურის და მის ქართველ მეგობრებს ერთმანეთი არ ავიწყდებათ.

ყაზბეგელებმა დიდი გულითადობით მიულოცეს იური ივანეს-ძე მანინს საიუბილეო წლის ლენინური პრემიის ლაურეატობა და უსურვეს ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

მაგრამაც რომ ადამიანის ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით.

ა. თომაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ოსტატობის ... ბალეტ

... ...